საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2017 წლის 6 დეკემბერი

ქ. საგარეჯო

,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/01/2017 წ., 010250050.35.165.016257) შევიდეს ცვლილება:

1. დადგენილების დანართი №1-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 836 859 ლარს.“

2. დადგენილების დანართი №1-ის მე-5 მუხლს დაემატოს 22-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამით დაფინანსდება ქვემოთ ჩამოთვლი ბენეფიციართა ოჯახები:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები 0-დან 100 000-მდე ქულით;

ბ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ვეტერანები, მრავალშვილაინი ოჯახები, რომელსაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი;

გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახები, ობოლ და მარჩენალ დაკარგულ ბავშვთა ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვები;

დ) მარტოხელა სტატუსის მქონე დედები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილები;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახები, ზემოთჩამოთვლილი კატეგორიათა სარეიტინგო ქულა უნდა განისაზღვრებოდეს 0-დან 120 000-მდე;

ვ) დევნილთა ოჯახები;

ზ) საგარეჯოს მუნიციპლიტეტის ტერიტორიაზე რეგისტირებული ოჯახი, რომელიც განიცდის ეკონომიურ ან სხვა ყოფითი გარემოებით გამოწვეულ გაჭირვებას ან სხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და არ მიეკუთვნება გაცემის წესის მიხდვით განსაზღვრულ არც ერთ კატეგორიას, მაგრამ რეკომენდაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლი. შესაძლებელია გამონაკლისის წესით დახმარების გაცემა ან სულადობის გათვალიწინების მიხედვით გასაცემი ოდენობის მომატება.“.

3. დადგენილების დანართი №1-ის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„მუხლი 6. სოციალური დახმარების ოდენობა და წარსადგენი დოკუმენტაცია

1. გათბობის ხარჯის მისაღებად ბენეფიციარის მიერ მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება (განმცხადებელი შეიძლება იყოს ბენეფიციარი ან მისი ოჯახის წევრი, ნათესავი ან სხვა კანონით გათვალისწინებული წარმომდგენელი);

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ცნობა სარეიტინგო ქულების შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილებიდან;

დ) საბანკო ანგარიშის ნომერი;

ე) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის, მარტოხელა დედის სტატუსის, ვეტერანის მოწმობის, დევნილი პირის მოწმობის);

2. მოქალაქეთა მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფისთვის ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით თითოეულ კატეგორიაზე გაიცემა 50 ლარი.“

4. დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამის ბიუჯეტი**

№	პროგრამის დასახელება	ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა	სოციალური დახმარების მოცულობა	
			ერთ პირზე/ოჯახზე	სულ
1	2	3	4	5
1	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახები		100	74 000
2	პირველ და მეორე შვილზე ახალშობილთა ოჯახების დახმარება		100	2000
	მრავალშვილინი ოჯახების დახმარება		200	9100
3	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი დახმარება		100	1000
4	სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბოლატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ღირებულების 70%-ით შშმ. პირების რეაბილიტაცია არაუმეტეს 500 ლარით.		1000	180500
5	ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარებაღირებულების 70%-ით		1000	94 000
6	ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მედიკამენტების დაფინანსება		100 და 500 ლარის ოდენობით.	118000

7	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 0-დან 120000-მდე,ონკოლოგიური ავადმყოფები და ომის მომაწილეები სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, კორონოროგრაფიის და ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების დაფინანსება (რომელიც არ არის გათვალიწინებული სხვა პროგრამით)		არაუმეტეს 500 ლარისა	46 500
8	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (18 წლამდე)	75	50 50 50 50	12 500
9	უდედმამო ბავშვები (18 წლამდე)	5	50	3000
10	უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი		300	9000
11	საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები.		250	3000
12	დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯები	3	300	900
13	ა) სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება	10	100	5559
	ბ) სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება (ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით)	10	100	
	გ) სამამულო ომის ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯები		250	
14	აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ უფასო სასადილოს დაფინანსება	230		155000
15	სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის ქირის კომპენსაცია)	26-28	125	34500
16	ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ოფისი			9000
17	ოთხმოცდა თხუტმეტ წელსგადაცილებული ხანდაზმულებისათვის საჩუქარი		100	2000
18	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	16	100	19 000
20	ს.უდაბნოდან ქ.საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ მთელი წლის განმავლობაში			8000
21	სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა		50	30 000
22	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომო სასურსათო ამანათების გადაცემა			20 300
	სულ			836 859

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ოთარ ჩალათაშვილი**